ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 18

ქ. თბილისი

19.11.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;
4. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
5. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;
6. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

არქიმანდრიტი სტეფანე კორინთელი - რექტორი

2. შპს ეისი

მარინე ტლაშაძე - დირექტორი
თათია ზარქუა - იურისტი

3. შპს ეტალონი 2015

ს. ლეკიაშვილი - დირექტორი
მ. კაკაშვილი - დირექტორის მოადგილე

4. შპს ნერგები

ზაზა თელია - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ასლან შანთაძე - მასწავლებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მაკა ტუკვაძე

ლელა ფიცხელაური

ვერა ყურულაშვილი

თამარ ამზაშვილი

ქეთევან ბაცანკალაშვილი

ავთანდილ აბდუშელიშვილი

დავით ჭეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:30 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივნის არ ყოფნის გამო დებულების 22 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრ მაკა მამფორიას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სკოლა ეისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ეტალონი 2015 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ლელა ფიცხელაურმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად წარმოადგინეს.

1.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სკოლას ხარვეზები არ უფიქსირდებოდა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც 2015 წლის 26 აგვისტოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ოქმში იყო წარმოდგენილი, მონიტორინგის ვიზიტის დროს, უმეტესწილად, გამოსწორებული დახვდათ ექსპერტებს. წინა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სკოლის ვებ-ვერდი. აღნიშნული ხარვეზები სკოლამ გამოასწორა. თუმცა, კვლავ არ იყო სკოლაში ადაპტირებულ სველი წერტილი. გიმნაზიის ეზოში იყო ახალი აშენებული შენობა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, შენობა განკუთვნილი იყო სველი წერტილებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ადაპტირებული სველი წერტილიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლისგან მოითხოვა, ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის და ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული შენობის დასრულების შესახებ ცენტრისთვის გაეგზავნა შეტყობინება და შესაბამისი მტკიცებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წერვებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2 ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, გიმნაზიას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ადამიანური რესურსი. გიმნაზიის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 35 პედაგოგიდან 34 ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და მინიჭებული ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი. სკოლას ჰყავდა 19 უფროსი და 15 პრაქტიკოსი მასწავლებელი. სქემაში არ იყო ჩართული, მხოლოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგმა 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისში დატოვა გიმნაზია. სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, გიმნაზიამ აიყვანა ახალი პედაგოგი, რომელიც არ იყო ჩართული სქემაში. თუმცა მასწავლებელს დამთავრებული ჰქონდა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. აგრეთვე, გორის სამუსიკო სასწავლებელი, ფერწერის სამხატვრო პედაგოგიური განყოფილება, ფერწერის სამხატვრო პედაგოგის სპეციალობით. პედაგოგთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2018 წლის 1ოქტომბერს.

ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით სკოლაში იყო დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. გიმნაზიაში ქრისტიანი და მუსლიმი მოსწავლეები ერთად სწავლობდნენ. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდა საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმზანიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმზანიის ავტორიზაციის გაუქმების (ს/კ:243914617) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს სკოლა ეისიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ვერა ყურულაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1 ექპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო განსაზღვრული საბაზო და საშუალო საფეხურზე არჩეული სპორტის სახეობები. სპორტის მასწავლებლებმა ვერ წარმოადგინეს პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა თემატური გეგმები სპორტის სახეობების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში სპორტის სახეობები განსაზღვრული.

სკოლის წარმომადგენლის თქმით აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი იყო და ამ დროისთვის პრობლემა აღმოფხვრილი იყო.

ექსპერტის განცხადებით კათედრების ხელმძღვანელების პორტფოლიოებში ინახებოდა მწირი მასალები კათედრების მუშაობის შესახებ. კერძოდ, არ იყო წარმოდგენილი კათედრების სამოქმედო გეგმები, მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების ამსახველი დოკუმენტები, არ ჰქონდათ შემუშავებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები, სადაც აღნიშნული იქნებოდა თუ რა ცოდნას და უნარებს შეიძენდა მოსწავლე კონკრეტული შემაჯამებელი დავალების შესრულებისას. პორტფოლიოები მოიცავდა კათედრების მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, კათედრის

წევრთა ვინაობას და შეხვედრების განრიგს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა რომ, კათედრის წევრები ატარებდნენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე სხვა კათედრებთან. არასრული იყო მასწავლებელთა პორტფოლიოებიც. პორტფოლიოებში განთავსებული თემატური გეგმები არ იყო დამტკიცებული კათედრის ხელმძღანელის მიერ და არ იყო მითითებული სასწავლო წელი. პორტფოლიოებში განთავსებული იყო შეფასების ზოგადი რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ჩატარების განრიგი და შემაჯამებელი დავალების ნიმუშების სხვადასხვა ფორმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2 ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით შპს ეისის სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში მუშაობდა 41 თანამშრომელი, მათ შორის 35 მასწავლებელი. დირექტორი, რომელიც ამავე დროს იყო ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, რუსული ენის მასწავლებელი, საინფორმაციო სამსახურის უფროსი, ინგლისური ენის მასწავლებელი. სულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 38 თანამშრომელი. პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული 38 თანამშრომლიდან „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში" ჩართული იყო 15 მასწავლებელი, მათ შორის 10 უფროსი და 5 პრაქტიკოსი მასწავლებელი. სკოლამ ავტორიზაცია გაიარა 27 პედაგოგით. პედაგოგთა რაოდენობის 10%-ის ცვლილების შესახებ დაწესებულებას ცენტრისთვის არ უცნობებია. ამ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან მასწვლებლების ცვლილებამ მიაღწია 10%-ს, დაწესებულება ვალდებული იყო ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით ეცნობებინა ცენტრისთვის აღნიშნულის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომელთა ნაწილი არ შეესაბამებოდა არსებულ კანონმდებლობას, შეიცავდა ხარვეზებს, არასწორად იყო ჩამოყალიბებული თანამშრომელთა სტატუსი. ექსპერტის თქმით, ზოგიერთი მასწავლებლის კომპეტენცია არ დასტურდებოდა პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით.

სკოლის ყველა თანამშრომელთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2018 წლის 24 აგვისტოს. ხელშეკრულებები გაფორმებული იყო მასწავლებლებთან, მათ შორის, ე.წ. "პირობით მასწავლებლებთან". ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა კლასის ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს. საშტატო განრიგის მიხვედვით ხელშეკრულება გაფორმებული იყო ბიბლიოთეკართან, ბუღალტერთან და დამლაგებელთან. არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება

სასწავლო პროცესის კოორდინატორთან, საინფორმაციო სამსახურის უფროსთან. ხელშეკრულებები დანომრილი იყო, მაგრამ ვიზიტის დროს არ იყო გატარებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.

დაწესებულებას 2018 წლის 28 აპრილს ს2-26 გრძანების საფუძველზე დამტკიცებული ჰქონდა შეფასების ჯგუფი 10 წევრის შემადგენლობით. სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის განვითარების სტრატეგიულ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყო ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. როგორც პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლის პედაგოგები აწარმოებდნენ ურთიერთდასწრებას და ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილების, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გააჩნდათ.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2018 წლის 16 ივნისის გრძანებით № ს2-36. დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობდა სკოლის სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დირექტორის წინაშე.

ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით სკოლაში დარღვეული იყო საქმისწარმოების წესი. ხელშეკრულებების რეგისტრაციის, საერთო და საკადრო გრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები არ იყო შევსებული 2015-2016 წლების შემდეგ. სკოლამ ვერ წარმოადგინა გრძანებების საქაღალდეები, შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. სკოლაში მხოლოდ ხელშეკრულებების საქაღალდეების დათვალიერება მოხერხდა. ექსპერტის თქმით 2018 წელს გამოცემული გრძანებების რეგისტრაცია წარმოადგინეს ცალკე ფურცელზე, რომელიც არ იყო საქმისწარმოების წესის შესაბამისად დამუშავებული.

ესპერტმა ასევე აღინიშნა სკოლის დადებითი მხარეც. სკოლა ორიენტირებული იყო განვითარებაზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს გორის მერიიდან მოვიდა წერილი იმის შესახებ, რომ სკოლას საკუთრებაში გამოეყო მიწის ნაკვეთი, სადაც მათ სურდათ საკუთარი შენობის აშენება.

ასევე სკოლაში არსებობდა 10% - იანი საშეღავათო ვაუჩერი. ეს ვაუჩერი ეხებოდა წარჩინებულ მოსწავლეებს მაღალი აკადემიური მოსწრებით, ასევე სოციალურად დაუცველ და იძულებით გადაადგილებულ პირებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა ეისის (ს/კ: 417885649) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ეტალონი 2015 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ ამზაშვილმა და ქეთევან ბაცანკალაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ თამარ ამზაშვილის თქმით, შპს ეტალონი 2015-ის მონიტორინგისას სწავლა მიმდინარეობდა გამართული სასწავლო და საგაკვეთილო პროცესის შესაბამისად.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის ძლიერ მხარეებად ექსპერტებმა მიიჩნიეს კარგი აკადემიური პერსონალი, მოტივირებული და დამოუკიდებელი აზრის უნარის მქონე მოსწავლეები, რომლებმაც საკუთარი საჭიროებებისა და სურვილების შესახებაც ისაუბრეს, მაგალითად, სკოლის ეზოს, სპორტული დარბაზის გაუმჯობესების შესახებ.

ექსპერტის თქმით, პირველი სტანდარტი პრაქტიკულად დაკმაყოფილებული იყო, ინკულუზიური განათლებისა და პროგრამული თვალსაზრისით.

3.2 ექსპერტის თქმით, ინკლუზიური განათლების კუთხით გამოიკვეთა შენობის ადაპტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები. ექსპერტის თქმით სკოლაში არ იყო პანდუსები მეორე სართულზე ასასვლელად. სკოლის განმარტებით, პანდუსებს არ იყენებდნენ, რადგან არ ჰყავდათ სსსმ მოსწავლე, თუმცა დასაწყობებული ჰქონდათ მოძრავი პანდუსები და საჭიროების შემთხვევაში სკოლას შეეძლო არსებული რესურსის გამოყენება.

ექსპერტის თქმით, გარდა აღნიშნულისა, დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი. მონიტორინგის პერიოდში ბიბლიოთეკაში არ იყო კომპიუტერი, ასევე არ იყო სახელმძღვანელოები, სკოლის განმარტებით სახელმძღვანელოები მოსწავლეებს ჰქონდათ გატანილი.

რაც შეეხებოდა უსაფრთხოებას, წესდების, ლოკაციის, სამედიცინო დანიშნულების კაბინეტის არსებობის შესახებ დოკუმენტაცია არსებობდა, მაგრამ ექიმი ისევ არ ჰყავდათ და, შესაბამისად, ოთახიც არ იყო გამოყოფილი. თუმცა, სკოლის განმარტებით, მათ ჩაატარეს კონკურსი, აიყვანეს ექიმი და ოთახიც მოაწყვეს შესაბამისად. მეორე სტანდარტში, უსაფრთხოების მხრივ სხვა დარღვევები არ გამოიკვეთა, სკოლას ჰქონდა ვიდეოთვალიც. აღსანიშნავი იყო ერთი გარემოება, სკოლას ჰქონდა საკუთრი ეზო, შენობა იდგა ძალიან პატარა ტერიტორიაზე, პირდაპირ სოფლის მოედანთან, თუმცა, სოფლის პირობების გათვალისწინებით სახიფათო გარემო არ იყო. თუმცა, დღის მეორე ნახევარში მოძრაობდნენ სამარშრუტო ტაქსები, რომლებსაც სხვადასხვა სოფლიდან და ასევე სიღნაღიდან მოჰყავდათ ბავშები. ექსპერტის თქმით, მოსწავლეებმა კმაყოფილება და დიდი სიყვარული გამოხატეს სკოლის მიმართ. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საზაფხულო სკოლა, რომელიც ლაშქრობებს, ექსპედიციებს, სხვადასხვა აქტივობას აერთიანებდა. ამასთან, სკოლაში ტარდებოდა კვლევებზე დაყრდნობილი ქიმიის გაკვეთილები, ძალიან აქტიური იყო პედაგოგი და მონიტორინგისას იმის დემონსტრირებაც კი გააკეთა, თუ როგორ შეიძლებოდა არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ეტალონი 2015-ის (ს/კ: 440391933) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს საკუთარი თავი. გაირკვა, რომ შპს ნერგები წარმოადგინეს სკოლის ხარისხის მენეჯერმა და მასწავლებელმა, რომლებსაც არ ჰქონდათ სკოლის წარდგენის ლეგიტიმური უფლებამოსილება. მათ აღნიშნეს, რომ სკოლის დამფუძნებელმა, რომელიც ასევე არის სკოლის დირექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლო საჭოს სხდომაზე დასწრება.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, შპს ნერგების საკითხის განხილვა გადადებულიყო ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტროიზაციის საბჭოს მომავალ სხდომამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:45 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

მაკა მამფორია